სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№3 (391) მარტი, 2026 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უღიდესი მწუხარებით უეცრად ეცოვნუ ტკივილს, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის გარდაცვალებამ გამოიწვია. საქართველომ დაასრულა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ღვთით განისვენა ადამიანმა, რომელიც გამოწვევებით სავსე პერიოდში, ათწლეულების განმავლობაში იყო ჩვენი ქვეყნის მოსაღური ღერძი, სიმშვიდის გარანტი და იმედის უშრეტი წყარო. მისი ცხოვრება იყო არა მხოლოდ მღვდელმთავრული მსახურება, არამედ საკუთარი ერისადმი თავგანწირული სიყვარულისა და უსაზღვრო მოთმინების ცოცხალი მაგალითი.

უწმინდესისა და უნეტარესის წასვლა არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის ამქვეყნიური გზის დასასრული – ეს არის ღიდი დანაკლისი ყოველი ოჯახისთვის, რომელთათვისაც მისი სიტყვა – ნუგეში, ხოლო მისი ლოცვა მფარველი ძალა იყო. მან შეძლო ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი შეენარჩუნებინა ერისთვის სულიერი ერთობა და გვასწავლა, რომ ჭეშმარიტი ძალა სიმშვიდესა და უთანხმოებისადმი ინერციულობაშია.

ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები ქედს ვიხრით მისი ნათელი ხსოვნის წინაშე. პატრიარქის მიერ დატოვებული სულიერი მემკვიდრეობა, მისი სიბრძნით აღსავსე დარიგებები, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული და ერთგულება მარადიულ ორიენტირად დარჩება მომავალი თაობებისთვის.

ამ უმძიმეს წუთებში თანავუგრძნობთ საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიასა და სრულიად საქართველოს. მისი სული განისვენებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ხოლო მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიის უკვდავ ფურცლებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აღიარებული მეცნიერის, აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძის, 100 წლის იუბილე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა** და უნივერსიტეტის კანცლერმა, **ალექსანდრე ბუაჩიძემ**, თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის აღიარებულ მეცნიერს, აკადემიკოს **ეთერ ქემერტელიძეს**, **100 წლის იუბილე** მიულოცეს.

რექტორმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალბატონი ეთერ ქემერტელიძის უმნიშვნელოვანეს ღვაწლზე და მის გამორჩეულ როლზე, საქართველოში ფიტოქიმიისა და ფარმაკოქიმიის დარგების განვითარებაში. პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა მადლობა გადაუხადა აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძეს მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისა და ახალი თაობების აღზრდაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

შეხვედრის დასასრულს, სტუმრებმა იუბილარს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ეთერ ქემერტელიძე საქართველოში ფიტოქიმიისა და ფარმაკოქიმიის დარგების ერთ-ერთ ფუძემდებლადაა აღიარებული. ის არის მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომისა და კვლევის ავტორი. მისი სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შესწავლასთან. აკადემიკოსის ხელმძღვანელობით და მისი კვლევების საფუძველზე შექმნილია სხვადასხვა დანიშნულების ორიგინალური სამკურნალო პრეპარატი.

ეთერ ქემერტელიძე დღემდე აქტიურად განაგრძობს სამეცნიერო საქმიანობას და საკუთარ ცოდნას და გამოცდილებასა ახალ თაობებს გადასცემს.

ეროვნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში, თსსუ-ში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა. სტუმრებს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, უმასპინძლა.

შეხვედრაზე უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამები განიხილეს; ყურადღება დაეთმო სტუდენტებისა და ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს.

შეხვედრაზე, ასევე, იმსჯელეს თანამედროვე მედიცინის გამოწვევებზე და, არსებული გამოწვევების ფონზე, სამედიცინო განათლების განვითარებასა და ახალგაზრდებისთვის შესაბამისი მოტივაციის შექმნის მნიშვნელობაზე, რაც მომავალში კვალიფიციური კადრების მომზადებას უზრუნველყოფს.

საერთაშორისო კონფერენცია – „იშვიათი შემთხვევები ბავშვთა ნევროლოგიაში“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია – „იშვიათი შემთხვევები ბავშვთა ნევროლოგიაში“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენცია გახსნა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**. მან, კონფერენციის მონაწილეებთან ერთად, წუთიერი დუმილით პატივი მიაგო პატრიარქის ხსოვნას, ყურადღება გაამახვილა მისი განსაკუთრებული წვლილის შესახებ ქვეყნისა და საეკლესიო ცხოვრების განვითარებაში და აღნიშნა: „ჩვენს უნივერსიტეტში დღეს იმართება მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაიგეგმა და ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო თარიღს. აქ იმყოფებიან მაღალი დონის საერთაშორისო სპიკერები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებენ და მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებს განიხილავენ. მადლობას ვუხდი ყველას კონფერენციაში მონაწილეობისათვის.“

ღონისძიებაზე სპიკერებად მოწვეული იყვნენ საერთაშორისო აკადემიური სივრცის აღიარებული წარმომადგენლები, რომლებიც ღონისძიების მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, თსსუ-ის ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **სოფიო ბახტაძემ,** წარუდგინა.

„კონფერენცია ეძღვნება ბავშვთა ნევროლოგიაში იშვიათ კლინიკურ შემთხვევებს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს უცხოელ სტუმრებს, რომლებმაც დიდი გზა გამოიარეს ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები და განხილული საკითხები მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, დარგის სპეციალისტებისთვის.“ – განაცხადა პროფესორმა სოფიო ბახტაძემ.

ორდღიანი პროგრამა მოიცავდა თემატურ მოხსენებებს, კლინიკური მაგალითების ანალიზს და პროფესიულ დისკუსიებს. ქართველმა და უცხოელმა მომხსენებლებმა განიხილეს ბავშვთა ნევროლოგიაში იშვიათი და რთული კლინიკური შემთხვევები, მათი დიაგნოსტიკა და მართვის თანამედროვე მიდგომები.

კონფერენციის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება უცხოელმა სტუმრებმა: პროფესორმა **მარია რობერტა ცილიომ** (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ლუვენი, ბელგია), პროფესორმა **ილონა ანა კოპიტამ** (სილეზიის სამედიცინო უნივერსიტეტი, კატოვიცე, პოლონეთი), პროფესორმა **ბარბარა პლეჩკომ** (გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტი, გრაცი, ავსტრია). მათ აღნიშნეს, რომ კონფერენცია მნიშვნელოვანი პლატფორმაა თანამშრომლობისთვის, ექიმების პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

კონფერენციას ესწრებოდნენ: ბავშვთა ნევროლოგები, საოჯახო მედიცინის ექიმები, პედიატრები, ნეონატოლოგები, ანესთეზიოლოგია-რეანიმაციის სპეციალისტები, ფიზიკური მედიცინის, კურორტოლოგიისა და რეაბილიტოლოგიის სპეციალისტები და სტუდენტები.

თსსუ და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა – 9 მარტს ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს მედიცინისა და ჯანდაცვის სფეროში აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებას.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები გეგმავენ სტუდენტების გაცვლას სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის, ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისა და კონფერენციების ორგანიზებას, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში გამოცდილებისა და რესურსების გაზიარებას, ასევე, სხვადასხვა ერთობლივი აკადემიური აქტივობის განხორციელებას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მედიცინისა და ჯანდაცვის სფეროში განათლებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარებაში.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსის გამარჯვებული

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულად გამოცხადდა – **„აჭარის რეგიონში 1937-1938 წლებში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა იდენტიფიცირება: აღდგენის, დოკუმენტირებისა და იდენტიფიცირების ქართული პროექტი“**, რომელიც ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ბაზაზე არსებული სასამართლო ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში, საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის (GAFA) თანამონაწილეობით.

პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში 1937-1938 წლების საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა იდენტიფიცირება თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით და მათი ღირსეული დაკრძალვის უზრუნველყოფა.

პროექტის ხელმძღვანელია ტეხასის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასამართლო ანთროპოლოგიის ცენტრის პროფესორი **ნიკოლას ჰერმანი**. პროექტის კოორდინატორია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **რუსუდან ბერიაშვილი**.

პროექტის კონსულტანტია **კელი კამნიკარი**, ნებრასკა-ლინკოლნის უნივერსიტეტის გლობალური ინტერგრაციული კვლევების სკოლის ასისტენტ-პროფესორი. პროექტის ახალგაზრდა მეცნიერთა გუნდის შემადგენლობაში არიან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის პედაგოგი და საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის (GAFA) პრეზიდენტი **მერი გონაშვილი**, **თეა თაყნიაშვილი** – საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის (GAFA) თანადამფუძნებელი და **ბუბა ჩაჩხიანი** – საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის (GAFA) თანადამფუძნებელი.

კომენიუსის უნივერსიტეტის (სლოვაკეთი, ბრატისლავა) წარმომადგენლების ვიზიტი თსსუ-ში

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული Erasmus+ KA171 საერთაშორისო კრედიტმობილობის პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ კომენიუსის უნივერსიტეტის (ბრატისლავა, სლოვაკეთი) მედიცინის ფაკულტეტის მედიცინის ტერმინოლოგიისა და უცხოური ენების დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორები – რადოსლავ დურაიკა და ანგელა შკოვიეროვა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა გაცნობითი შეხვედრა გამართეს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებთან და სტუდენტებს გააცნეს ინფორმაცია სლოვაკეთის სამედიცინო განათლების სისტემის შესახებ, ასევე, განიხილეს კომენიუსის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური მიდგომები და სპეციალური პრაქტიკები. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა.

სტუმრებს შეხვდნენ თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **სოფიო ბახტაძე**; საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების უფროსი, ასოცირებული პროფესორი **თინათინ კილასონია**; Erasmus+-ის ინსტიტუციური კოორდინატორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი **ნინო კანდელაკი**; ასევე, უცხოური ენების ცენტრის ადმინისტრაცია. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა, ასევე, მოინახულეს თსსუ-ის სიცოცხლის მუზეუმი.

ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი მედიცინის 45-ე საერთაშორისო სიმპოზიუმზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი მედიცინის 45-ე საერთაშორისო სიმპოზიუმში (ISICEM 2026), რომელიც მიმდინარე წლის 17-20 მარტს, ბრიუსელში (ბელგია) გაიმართა.

ღონისძიებაზე თსსუ-ის პროფესორებმა ლევან რატიანმა და ლუიზა გაბუნიამ წარადგინეს პოსტერული მოხსენება თემაზე: „IL-6-ისა და sTREM-1-ის პროგნოზული მაჩვენებლები სეფსისის და სეპტიური შოკის მქონე მოზრდილებში სტანდარტულ მარკერებთან შედარებით“.

თსსუ-ის დელეგაციამ ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო სიმპოზიუმის ფარგლებში გამართულ პროფესიულ და აკადემიურ ლექციებსა და პრეზენტაციებში, სადაც განხილული იყო ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი მედიცინის დარგის უახლესი მიღწევები, თანამედროვე მიდგომები და კლინიკური პრაქტიკის აქტუალური საკითხები.

სკრინინგ-კამპანია თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თირკმლის მსოფლიო დღის ფარგლებში, შინაგან დაავადებათა N2 დეპარტამენტის, საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის და საქართველოს ჯანმრთელობის ახალგაზრდული ასოციაციის ორგანიზებით, სკრინინგ-კამპანია ჩატარდა.

კამპანია მოიცავდა მსურველთათვის არტერიული წნევის გაზომვასა და სისხლში გლუკოზის დონის განსაზღვრას.

ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თირკმლის დაავადებების პრევენციისა და ადრეული გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ.

პროექტების – „თსსუ-ის ელჩები“ და LIFESTRAND – ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

დიდი დაინტერესება გამოიწვია ახლახან თსსუ-ის წარმომადგენელთა სტუმრობამ ხაშურის N1 საჯარო სკოლაში – პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგს, რომელსაც თსსუ-ის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის პროფესიონალი და გამოცდილი ინსტრუქტორები უძღვებოდნენ, სკოლის 130-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო.

სკოლის მოსწავლეები გაეცნენ პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლებს. შეისწავლეს CPR-ის (გულ-ფილტვის რეანიმაცია) საფუძვლები, ტრავმის შემთხვევაში, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრინციპები, უსაფრთხო გარემოს შეფასება და ექსტრემალურ ვითარებაში სიტუაციის მართვა. ტრენინგის დროს მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ინსტრუქტორების დახმარებით განეხორციელებინათ მულაჟებზე და მანეკენებზე სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა და შეფასება. მოსწავლეები მულაჟების დახმარებით დაეუფლნენ უცხო სხეულის ამოგდების ტექნიკას, გაეცნენ სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარების წესებს (ბაზისური სასიცოცხლო ალგორითმი, გადაუდებელი დახმარების ჩატარება სისხლდენების და ტრავმების დროს და ნახვევების დადება).

ხაშურის N1 სკოლაში ვიზიტი პროექტების – LIFESTRAND და პროექტ „თსსუ-ის ელჩები“ – ფარგლებში განხორციელდა.

სულიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ნიშანსვეტი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აწ უკვე წარსულად ქცეული ეპოქის ნიშანსვეტია, „გულთაბოძი“, როგორც ამას გოდერძი ჩოხელი ამბობდა... გულთაბოძის გარეშე კი სახლი ვერ შენდებოდა და კერია ვერ არსებობდა.

წარსულად იქცა ნახევარი საუკუნე, რომელიც სულიერი აღმასვლით და ეროვნული იდენტობის თვითშეგნებისთვის ბრძოლით გაატარა საქართველოს დიდმა სულიერმა ლიდერმა. მნიშვნელოვანია, რომ მისი ამქვეყნიდან წასვლა ერთნაირი მწუხარებით აღიქვა საქართველოში მოქმედმა ყველა რელიგიურმა კონფესიამ. სულიერი მამის გარდაცვალება სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმაც ისეთივე სიმძიმით აღნიშნეს, როგორც ამას მართლმადიდებლური სთვისტომო განიცდიდა. მიზეზი ერთია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. სულიერ ლიდერობასთან ერთად, ეროვნული მოღვაწეც იყო. ის კლდესავით იდგა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის და საქართველოს მოქალაქეებში ერთიანი საქართველოს განცდის დასაცავად.

პატრიარქი პირველი ჩნდებოდა იქ, სადაც საქართველოს არსებობისთვის აშკარა თუ ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა, ღვთისმიერი სიმშვიდით და სიბრძნით იკრებდა ირგვლივ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ადამიანებს, სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს და ერთი იდეის ირგვლივ აერთიანებდა. **ეს საქართველოს სახელმწიფოებრივი სრულქმნისა და სულიერი სრულყოფის იდეა იყო.**

სწორედ ამიტომაც მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გლოვის მასშტაბი ძალიან დიდია და ყველა სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, განათლების კერას თუ სამეცნიერო სფეროს ეხება.

ჩვენ ვუერთდებით ერის დიდ მწუხარებას – დიდი ეპოქის დასასრულს ახალი დიდი ეპოქის დადგომის იმედით!

ეპოქალური სახელთა თანხვედრა – დიდი ილიადან უწმინდეს ილიამდე

საქართველოს უახლეს ისტორიაში დგება ჟამი, როდესაც სიტყვები კარგავს ჩვეულ ძალმოსილებას და მხოლოდ დუმილი, აღსავსე ეროვნული მწუხარებითა და საკრალური მოკრძალებით, ხდება მართალი მეტყველების ერთადერთი ფორმა. 2026 წლის 22 მარტს საქართველო დაემშვიდობა პიროვნებას, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ჩვენი ერის სულიერ ღერძს, მის მორალურ კომპასსა და ურყევ იმედს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

სიმბოლური და განგებისმიერია ის ისტორიული პარალელი, რომელიც გასულ საუკუნესა და ჩვენს რეალობას შორის გაივლო. თუკი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ერის „უმგზავროდ დარჩენილ“ ხომალდს ილია ჭავჭავაძე – ჩვენი ეროვნული ცნობიერების მამამთავარი მესაჭეობდა, მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთეს დასაწყისში ეს უმძიმესი და საპატიო მისია ილია მეორემ იტვირთა. ეს იყო არა მხოლოდ სახელთა თანხვედრა, არამედ ეპოქალური ესტაფეტა განმანათლებლობისა, თავგანწირვისა და ერის გადარჩენისათვის დაუცხრომელი ზრუნვისა.

მისმა უწმინდესობამ ეკლესიაში დაბრუნების გზა გაუკაფა არა მხოლოდ მორწმუნე მრევლს, არამედ მთელ ქართულ კულტურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას. **მისი პატრიარქობის პერიოდი იქცა ნამდვილ რენესანსად, სადაც ტაძრების მშენებლობა თანხვედრილი იყო ქართული სულის შენებასთან. იგი გახლდათ სულიერი და კულტურული აღორძინების ხუროთმოძღვარი, იშვიათი მოაზროვნე, რომლისთვისაც რწმენა და ცოდნა, თეოლოგია და მეცნიერება ერთმანეთს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ავსებდა.**

პატრიარქი გახლდათ მეცნიერების მფარველი და კულტურის მეცენატი: მისი ლოცვა-კურთხევითა და უშუალო ჩართულობით აღდგა მრავალი მივიწყებული ტრადიცია, გაცოცხლდა აკადემიური კვლევები და განმტკიცდა ეროვნული თვითმყოფადობა. მისი მუსიკალური შემოქმედება და ფერწერა იმ შინაგანი ჰარმონიის გამოძახილი იყო, რომელსაც იგი მთელი ცხოვრება ქადაგებდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის განსაკუთრებით სათუთია იმ ღრმა პატივისცემისა და მზრუნველობის გახსენება, რომელსაც უწმინდესი სამედიცინო სფეროსა და მკურნალთა მიმართ იჩენდა. იგი თვლიდა, რომ მკურნალის ხელოვნება ღვთიური მადლისა და ადამიანური თავდადების სინთეზია, რომ ექიმობა არ

არის მხოლოდ პროფესია, ეს არის მსხვერპლშეწირვა მოყვასისათვის, რაც ჩვენი უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისა თუ პროფესორისთვის უდიდესი სტიმული და პასუხისმგებლობა იყო.

პატრიარქი განსაკუთრებული სიყვარულით ლოცავდა თეთრხალათიანებს, ხედავდა რა მათში სიცოცხლისათვის მებრძოლ რაინდებს. ფასდაუდებელია მისი მხარდაჭერა ბიოეთიკური ნორმების დამკვიდრების საქმეშიც.

იმ დღეს, როდესაც უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მარადისობაში გადაინაცვლა, ჩვენ დავემშვიდობეთ არა მხოლოდ სულიერ მამას, არამედ უდიდეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეს, რომელმაც ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში საკუთარი სული და გული ჩადო. მისი ანდერძი – „სიყვარული, სიმშვიდე და თავმდაბლობა“ – უნდა დარჩეს ჩვენი ერის გზამკვლევად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და მთელი სამედიცინო საზოგადოება ქედს იხრის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ნათელი ხსოვნის წინაშე. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიბეჭდება საქართველოს ისტორიის იმ ფურცლებზე, სადაც ერის გადარჩენისა და აღორძინების მატიანე იწერება.

უფალმა დაამკვიდროს მისი მართალი სული იქ, სადაც არ არსებობს სენი, მწუხარება და სულთქმა, არამედ არის ნათელი და ცხოვრება საუკუნო.

სულიერი მამა – ერის დიდი მოღვაწე

გლოვის მძიმე დღეებია საქართველოში – ერმა დაკარგა სულიერი წინამძღოლი, ბრძენი და სათნო პატრიარქი... მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ითქვა და დაიწერა მის უწმინდესობაზე, მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობაზე ერის ცხოვრებაში, რწმენის განმტკიცებაში, სულიერი კულტურის აღორძინებაში, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში, მისი ნახევარსაუკუნოვანი ღვაწლი, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ შეუფასებელია თანამედროვეთა მიერ. პატრიარქის სიყვარული კი თანაბრად წვდებოდა და ათბობდა ყველას, განურჩევლად რწმენისა, ეროვნებისა, ასაკისა, რაც მისი ხსოვნის პატივსაცემად შეკრებილი მადლიერი ხალხის მრავალრიცხოვნებამაც დაადასტურა.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ყოველთვის ცდილობდა გაზეთის ფურცლებზე მუდმივად დაეთმო ადგილი მისი ქადაგებებისთვის, რადგან მიგვაჩნდა, რომ მისი ბრძნული შეგონება არათუ გასათვალისწინებელი, არამედ სამოქმედო ორიენტირი იყო ნებისმიერი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, მიუხედავად პროფესიული საქმიანობისა. გაზეთი გამოეხმაურა მისი დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილესაც; ყველაზე დიდი სიხარული გაზეთის რედაქციისთვის პატრიარქისგან გამოგზავნილი მისალოცი წერილი იყო თსსუ-ის საიუბილეო, 70 წლის, თარიღის აღსანიშნავად.

ბედნიერებაა, რომ პატრიარქის, ამ გამორჩეულად დიდი მოღვაწის, ეპოქაში გვიხდებოდა ცხოვრება და საქმიანობა, რომ მასთან პირდაპირი, ცოცხალი ურთიერთობის შესაძლებლობა გვქონდა... „ბოროტი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს“, – ხშირად უთქვამს ჩვენს ბრძენ პატრიარქს. ღმერთმა ინებოს, სწორედ ისეთი სიყვარულით გაერთიანებული გვენახოს სრულიად საქართველო, როგორადაც ის წარდგა გლოვის დღეებში, მისთვის ზნეობრივ ორიენტირად კი სწორედ ის სიტყვები იქცეს, რომელიც ანდერძივით დაგვიტოვა ჩვენმა საყვარელმა პატრიარქმა:

„წესად დაიდეთ ყველამ, ისე არ დაღამდეს, რომ ერთ ადამიანს მაინც არ მიანიჭოთ სიხარული. ეს სიხარული გადაეცემა ჩვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს. ილაპარაკეთ ადამიანებზე კარგი, მოუყევით ერთმანეთს სხვის კარგ თვისებებზე, წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერი ხართ, როცა თქვენს თავზე კარგი გესმით, მიანიჭეთ ეს სიამოვნება სხვასაც. ცუდი ამბები ხომ ორმაგად მიაქვთ ადამიანებს ადამიანებამდე, ერთი პატარა ცუდი ამბავი, ათ კარგ ამბავს გადაჩრდილავს. ვილაპარაკოთ ერმანეთზე კარგი. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს სხვებისათვის, ადამიანს უნდა მოჰქონდეს სიხარული სხვა ადამიანებისთვის, — ამ შემთხვევაშია ადამიანი ბედნიერი... არაფერზე არ ინერვიულოთ, არ იდარდოთ, არ მოიწყინოთ; იცით რატომ? — თქვენს გვერდით უფალია. ირწმუნეთ მისი, გჯეროდეთ და მისი წყალობით ყველაფერს დაამარცხებთ, ყველაფერს გადალახავთ. ყველაფერი კარგად იქნება... გიყვარდეთ ერთმანეთი, უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი, იოანე ღვთისმეტყველი ხშირად ამბობს, სიყვარული გადაგვარჩენს ჩვენ“



სამედიცინო უნივერსიტეტს, მის რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს და მთელ ჩვენს მოსახლეობას გულითადად ვულოცავ სამედიცინო უნივერსიტეტის დაარსებიდან 70 წლის თავს. მრავალი დასტაქარი და ცნობილი მკვლევარი აღზრდილა ამ კედლებში და თუ დღეს ექიმის პროფესია ასე საამაყოა, ეს აქ მოღვაწე მეცნიერებისა და პედაგოგების დიდი დამსახურებაა.

ჭეშმარიტი ექიმი ისაა, ვინც ამ საქმის საუკეთესო მცოდნე, მრავლის მომთმენი, უანგარო, მოყვასისათვის თავდადებული პიროვნებაა, მკურნალი ხორცთა ჩვენთა და სულთაცა.

სამედიცინო სფეროს ყველა თანამშრომელს ვულოცავ და ვუსურვებ დღეგრძელობას, მშვიდობასა და სიხარულს. წმიდა პანტელეიმონ მკურნალმა, წმიდათა უვერცხლოთა მკურნალთა კოზმან და დამიანემ, ილარიონ ქართველმა და სხვათა წმიდათა განგაძლიერონ და მოგანიჭონ წინსვლა და წარმატება ღვთისსათნო თქვენს საქმიანობაში.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

სტუდენტური ეკრანი

ფაკულტეტების კვირეული

მარტის დღეები განსაკუთრებულად დატვირთული აღმოჩნდა თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდისთვის – ეს დღეები თსსუ-ის ფაკულტეტების კვირეულს მიეძღვნა. მრავალფეროვანი შემეცნებით-გასართობი აქტივობები, განსაკუთრებული სტუმრები, გამორჩეულად საინტერესო ლექციები და საოცარი გარემო, თითოეული დღისა და ფაკულტეტის განუყოფელ ნაწილად იქცა.

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით მოწყობილი კვირეული 9 მარტს დაიწყო და ეს დღე **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტს** დაეთმო.

დღის განმავლობაში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩართულიყვნენ მრავალფეროვან აქტივობებში, მიეღოთ სამახსოვრო საჩუქრები.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სახელით, გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მოწვეულ სტუმარს – ქალბატონ **ირინე ზარნაძეს**, თსსუ-ის ასოცირებულ პროფესორს, საინტერესო და შემეცნებითი ლექციისთვის.

მადლობა ეკუთვნის, ასევე, თითოეულ სტუდენტს, ჩართულობისა და გამოხატული ინტერესისთვის!

ფაკულტეტების კვირეულის ფარგლებში, 10 მარტი **ფარმაციის ფაკულტეტს** მიეძღვნა.

სალექციო ფორმატს ქალბატონი ეკა ფრუიძე – საერთაშორისო ქოუჩი, ტრენერი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლექტორი და PSP აკადემიის ხელმძღვანელი – გაუძღვა, რომელსაც, ასევე, გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მეტად ინფორმაციული და დასამახსოვრებელი შეხვედრისათვის. ეს ღონისძიება კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახადეს სპონსორებმა – PSP, Gepha, GMP-ის პარტნიორობის ფარგლებში აქტივობებში ჩართულ გამარჯვებულ მონაწილეებს მრავალფეროვანი საჩუქრები გადაეცათ.

11 მარტს **მედიცინის ფაკულტეტის** დღე აღინიშნა, რომელიც სისხლის უანგარო დონაციის აქციით დაიწყო და მასში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები იყვნენ ჩართულნი. მოგვიანებით, სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ მრავალფეროვან გასართობ-შემეცნებით აქტივობებში და გამარჯვების შემთხვევაში, სიმბოლური საჩუქრები მიეღოთ.

დღის მთავარი საჯარო ღონისძიება – ,,მედიცინის სადარაჯოზე" განსხვავებულ ფორმატში წარიმართა, რასაც სტუდენტების მხრიდან დიდი ინტერესი და დადებითი შეფასებები მოჰყვა.

გამოხატული მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის, გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ აღნიშნული ღონისძიების სტუმრებს: პროფესორ **თინათინ ტყემალაძეს** – თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს; პროფესორ **რუსუდან რუხაძეს** – თსსუ-ის ვიცე-რექტორს, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს და პროფესორ **თინათინ ჩიქოვანს** – თსსუ-ის რექტორის თანაშემწეს, თსსუ-ის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს

12 მარტს **ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტისა** და, ასევე, **საექთნო და სამეანო საქმის პროგრამის** დღე აღინიშნა; ამ დღის განმავლობაში სტუდენტებსა და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ სპეციალურად მოწყობილ საინფორმაციო და შემეცნებით სივრცეებს. წარმოდგენილი იყო სპორტული ორთოპედიული რეაბილიტაციის სტენდი, სადაც დაინტერესებულ პირებს ტენზის აპარატისა და გონიომეტრიის შესახებ პრაქტიკული ინფორმაცია მიეწოდათ. შემეცნებით-გასართობ აქტივობებში მონაწილე სტუდენტებს დღის ბოლოს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

დღის მთავარი ღონისძიება იყო საჯარო ლექცია, თემაზე – „ძილი: რეაბილიტაციის უჩინარი ფაზა", რომელსაც უძღვებოდა ქალბატონი **სოფიკო შაგიძე** – ნევროლოგი, ნეირორადიოლოგი, კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის კლინიკის ზრდასრულთა მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ სტუდენტებისთვის გამოცდილების გაზიარებისათვის.

ფაკულტეტების კვირეული 13 მარტს **სტომატოლოგიის ფაკულტეტის** შესანიშნავი დღით დასრულდა. დღე საინტერესო ვიქტორინით დაიწყო, სადაც მონაწილეებმა საკუთარი ცოდნა გამოამჟღავნეს, გაიმართა კბილების ხატვის, ძერწვისა და გამოთლის კონკურსი, რომელმაც სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ პრაქტიკულადაც გამოსცადეს საკუთარი უნარები. ასევე ჩატარდა ფანტომზე მუშაობისა და რაბერდამის სისტემის გამოყენების მასტერკლასი, სადაც დამსწრეებმა თანამედროვე სტომატოლოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღეს.

დღის მთავარი ღონისძიება კი საჯარო ლექციას მიეძღვნა, თემაზე – „განმეორებითი ენდოდონტიური მკურნალობის საჭიროება ოდონტოლოგიაში", რომელსაც უძღვებოდა პროფესორი **ლია სანოძე** – თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, თსსუ -ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის და სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) წევრი და სტუდენტების სახელით, გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კვირეული განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა სტუდენტი-ახალგაზრდობისთვის; ვიმედოვნებთ, ის შესანიშნავ ტრადიციად იქცევა თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა ფარგლებში.

საგრანტო პროექტის ფარგლებში

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, საგრანტო პროექტის – „გარემო ჩვენს ირგვლივ" – ფარგლებში, მრავალფეროვანი აქტივობები განხორციელდა.

მიმდინარე წლის 2 და 6 მარტს სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ შემეცნებით ლექციებს და მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. 2 მარტს თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ბატონ სოლომონ ერგემლიძეს უმასპინძლა, 6 მარტს კი – ბატონ ლევან ქობაურს. „საუბრები ფსიქოლოგთან" და „ფიზიკური აქტივობის როლი ადამიანის ფსიქოლოგიაზე" გახლდათ ის თემები, რომელთა შესახებაც სტუმრებმა საჭირო ინფორმაცია გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას.

თვითმმართველობის ინიციატივით

6 მარტს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, გაიმართა კალათბურთის ტურნირი – 3x3-ზე რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ ქართველი და უცხოელი სტუდენტები.

წარმოგიდგენთ გამარჯვებულ გუნდებს:

პირველ ადგილზე გუნდი – KFC BUSKET გავიდა, გიორგი ჯაფარიძის, დაჩი ჯაფარიძის და გიორგი ლაზარიაშვილის შემადგენლობით; მე-2 ადგილი ხვდათ უცხოელ სტუდენტებს: Bernard Philip B.Candelania; Christen Gabriel A.Pineda; Abusshek Sharavanan; Thiromookthy Chanorasekar; მესამე ადგილი კი – ლუკა ლომინაშვილს, გიორგი ლარკანაშვილსა და თემურ ხომასურიძეს ერგოთ წილად.

16 მარტს, ტურნირი და მასტერკლასი ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთში, რომელსაც სპეციალური სტუმარი – გიორგი ლიპარტია ესწრებოდა – საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში, საქართველოს ნაკრების წევრი და Lipartia Club-ის დამფუძნებელი.

17 მარტს კი თსსუ-ში ფრენბურთისა და მკლავჭიდის ტურნირები გაიმართა. მკლავჭიდის ტურნირი, ერთ-ერთია სპორტის იმ სახეობებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებში განსაკუთრებული პოპულარობით რომ სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ სპორტულ აქტივობებს სტუდენტების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ფოტოკონკურსი – „თეთრი ხაფათის მიღმა"

შემოდგომა-ზამთრის სემესტრში, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (PR) ორგანიზებით, პირველი ონლაინ ფოტოკონკურსი გაიმართა. გამარჯვებული სოციალურ ქსელში ფოტოზე გამოხატული ემოციების რაოდენობით გამოვლინდა. კონკურსი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდა და მისი გამარჯვებულები სტუდენტები: ეკატერინე ცხოვრებაშვილი, გუგა ხორგუაშვილი და ლიზი დარბაიძე გახდნენ.

გასვლითი ტური კოჯორში

საგრანტო პროექტის ფარგლებში, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით, მოეწყო გასვლითი ტური კოჯორში, რომელიც სათავგადასავლო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა თითოეული მონაწილისათვის. 15 მარტს სტუდენტები კოჯრის ციხეს ეწვივნენ – ნისლიანი, დათოვლილი გარემო შთამბეჭდავი მოგონებების ადგილად იქცა.

ნინო ჭილლაძე – ,,სამედიცინო გაზეთის" სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი,
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, დიპლომირებული მედიკოსის
ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი

თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა ოფიციალურად გაიხსნა

ახალი კლინიკის გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიებითა და საუნივერსიტეტო აკადემიზმით მიწოდებული სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოებრივ ინტერესს წარმოადგენს და ხვალინდელი დღის შენების ნამდვილი საძირკველია. ამიტომაც, ფაქტობრივად, მოვლენად იქცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნა. კლინიკა ვაშლიჯვარში, პეტრე სარაჯიშვილის ქუჩა N17-ში, მდებარეობს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესების შესაბამისად, ის სულ მალე ჩადგება საქართველოს მოსახლეობის სამსახურში და მაღალი დონის სერვისით უზრუნველყოფს შესაბამისი პროფილის პრობლემების მქონე პაციენტებს. ამასთანავე, აქ თსსუ-ის სტუდენტებისთვის კლინიკური სწავლების პროცესი წარიმართება, რისთვისაც თანამედროვედ აღჭურვილი და გამოცდილი სპეციალისტებით, აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებული კლინიკური ბაზა პირველადი და უალტერნატივო საჭიროებაა. აქ განთავსებულია თსსუ-ის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტები, სასწავლო პროცესისთვის მოწყობილია სასწავლო აუდიტორიები, სალექციო დარბაზი და შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურა.

ახალი სივრცე პაციენტებს მენტალური ჯანმრთელობის მიმართულებით თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკასა და სამკურნალო მომსახურებას სთავაზობს.



კლინიკა ოფიციალურად გახსნეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა,** დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, **მიხეილ სარჯველაძემ** და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ.** გახსნის ღონისძიება განსაკუთრებული ინტერესისა და სიხარულის ატმოსფეროში წარიმართა. მას, თსსუ-ის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად, ესწრებოდნენ საკანონდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და თსსუ-ის საუნივერსიტეტო და პარტნიორი კლინიკების ხელმძღვანელები.

„დღეს აღვნიშნავთ მნიშვნელოვანი პროექტის დასრულებას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნას, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს. უკვე დაწყებულია სალიცენზიო პირობების მოპოვების პროცესი და უახლოეს პერიოდში კლინიკა სრულ მზადყოფნაში იქნება, რათა შესაბამისი საჭიროებების მქონე მოქალაქეებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება გაუწიოს. აღსანიშნავია, რომ კლინიკა მხოლოდ სამკურნალო ფუნქციით არ შემოიფარგლება, აქ იქნება მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო სივრცეც. კლინიკაში განთავსდება თსსუ-ის შესაბამისი პროფილის დეპარტამენტები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმების პროფესიულ განვითარებას. თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა გახდება კიდევ ერთი ძლიერი კლინიკური ბაზა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, სადაც მომავალი თაობის ექიმები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის განათლებას”, – განაცხადა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა.

„ეს არის პირველი მნიშვნელოვანი პრეცედენტი, როდესაც სამედიცინო სფეროს, განსაკუთრებით მენტალური ჯანმრთელობის მიმართულებას, ეძლევა განვითარების ახალი და ფართო შესაძლებლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კლინიკა ერთდროულად შეასრულებს როგორც პრაქტიკულ, ისე საგანმანათლებლო ფუნქციას. მას ექნება უდიდესი როლი შემდგომი თაობის ფსიქიატრიული მიმართულების დარგის სპეციალისტების აღზრდაში და, რა თქმა უნდა, იმ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში უფრო მეტად გადმოტანას და უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყობს ხელს, რასაც თსსუ-ის აკადემიური პროცესი უზრუნველყოფს”, – აღნიშნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, გივი მიქანაძემ.

„შესანიშნავად მოწყობილი ინფრასტრუქტურის ფარგლებში, იქმნება ახალი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით სერვისების მიწოდებით არ შემოიფარგლება. იგი ერთდროულად გახდება სივრცე, სადაც ფსიქიატრიის მიმართულებით პროფესიონალები დახელოვნდებიან და ჩამოყალიბდება მძლავრი საგანმანათლებლო და კლინიკური ბაზა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კლინიკა ხელს შეუწყობს როგორც პროფესიული კადრების დეფიციტის შემცირებას, ასევე, ფსიქიატრიული მომსახურებების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას”, – განაცხადა დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა, მიხეილ სარჯველაძემ.

კლინიკა პაციენტების მიღებას ეტაპობრივად დაიწყებს მომდევნო 2 თვის განმალობაში. პირველ ეტაპზე თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა პაციენტებს ამბულატორიულ მომსახურებას გაუწევს. პარალელურად მიმდინარეობს სტაციონარის ლიცენზირების პროცესი.

თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკა პაციენტებს სთავაზობს ამბულატორიული, გახანგრძლივებული ამბულატორიული (დღის ცენტრი), დამხმარე სარეაბილიტაციო (დღის ცენტრში) და ხანმოკლე დაყოვნების სტაციონარული სერვისის მიწოდებას, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებისა და დამოკიდებულების მართვას და მკურნალობას ყველა პროფილით.

თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ძირითადი სტაციონარი გათვლილია 103 საწოლზე, სტაციონარული განყოფილებებით: **მწვავე ფსიქიატრიული სტაციონარი; დუალური ნოზოლოგიის განყოფილება; ნარკოლოგიური დეტოქსიკაციის განყოფილება; სარეაბილიტაციო განყოფილება**.

კლინიკა მუშაობს მულტიდისციპლინური მიდგომით და აერთიანებს მენტალური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე სხვადასხვა პროფილის 100-ზე მეტ სპეციალისტს, რაც უზრუნველყოფს პაციენტზე ორიენტირებულ, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კომპლექსურ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მომსახურებას.

კონსტანტინე ერისთავი – მეექვსე რექტორი

ცნობილი ქართველი ქირურგი, მეცნიერი და პედაგოგი **კონსტანტინე ერისთავი**, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ექიმთა არაერთი თაობის აღზრდაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე რექტორი (დირექტორი) გახლდათ. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სერგო საყვარელიძე, წიგნში – „კონსტანტინე ერისთავი", თუმცა განსაკუთრებით საინტერესო თავად დიდი ქირურგის ავტორობით გამოცემული „მოგონებაა", სადაც იგი გვიამბობს მის მიერ განვლილ გზაზე, იხსენებს ბევრ საინტერესო ისტორიას, გვიზიარებს შთაბეჭდილებებს და შეხედულებებს სხვადასხვა საკითხზე... გავესაუბრეთ, ასევე, კონსტანტინე ერისთავის შვილიშვილს, ქალბატონ **დალი გორდეზიანს**, რომელმაც სიყვარულით გაიხსენა სახელოვანი ბაბუა და, მთლიანობაში, გამოიკვეთა გამორჩეული ქირურგის, მეცნიერის და ჰუმანისტის პორტრეტი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში მედიცინის განვითარებას.

ბავშვობა

კონსტანტინე ერისთავი 1889 წელს დაიბადა ვანის რაიონის სოფელ სალომინაოში (მაშინდელი ქუთაისის მაზრა). თავის „მოგონებაში" აღნიშნავს, რომ მშობლებს მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდათ მიღებული. ხელგაშლილობის გამო, მამას ადრევე გაუნიავებია მემკვიდრეობით მიღებული ადგილ-მამული. 4 წლის ყოფილა პატარა კონსტანტინე, როცა მამა გარდაცვლილა. მშობლებს 9 შვილი ჰყოლიათ. პატარა კონია (როგორც მას უწოდებდნენ) ჯერ სოფლის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში, შემდეგ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეუყვანიათ. იგი გიმნაზიაში გატარებულ წლებს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნად მიიჩნევს და იხსენებს მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მასზე: **იოსებ ოცხელს, თომა მთვარიშვილს, სილოვან ხუნდაძეს, ალექსანდრე გარსევანიშვილს** და სხვებს და აღნიშნავს, რომ ისინი არა მხოლოდ საგანს, სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდნენ და ადამიანის თანაგრძნობის, დახმარების სურვილს უნერგავდნენ მოსწავლეებს. კ. ერისთავის გიმნაზიაში სწავლის დრო პოლიტიკურად აქტიურ პერიოდს დაემთხვა. პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები მაშინ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთნენ. კონსტანტინე ერისთავიც ამ მოძრაობის იმდენად აქტიური მონაწილე გახდა, რომ 15 წლის ყმაწვილს, ქუთაიში მყოფი რევოლუციონერები, ხშირად სახიფათო დავალებების შესრულებასაც ანდობდნენ, რასაც პირნათლად ართმევდა თავს.

ნიჭიერ მოსწავლეს პოლიტიკაში აქტიურობამ ვერც სრულფასოვანი განათლების მიღებაში შეუშალა ხელი – იგი ბევრს მეცადინეობდა და ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა გიმნაზიაში. იმის გამო, რომ უნდოდა პირველი გამოშვების გიმნაზიელი ყოფილიყო, მე-5 კლასიდან მე-7 კლასში გადასაყვანი რთული გამოცდები წარმატებით ჩააბარა და 1908 წელს დაასრულა გიმნაზია.

სტუდენტობა

1909 წელს კ. ერისთავი ჩაირიცხა იურიევის (ახლანდელი ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. როგორც თავად გვიამბობს, აქ ადგილობრივი მოსახლეობის, ესტონელების, გარდა, ბევრ გერმანელს შეხვდებოდით და ზოგ კათედრაზე სწავლება გერმანულ ენაზეც მიმდინარეობდა. ეს იყო ქალაქი, სადაც სასწავლებლად არაერთი გადასახლებიდან დაბრუნებული სტუდენტი იმყოფებოდა, ამიტომაც იურიევში პოლიტიკურად „მომზადებულმა" სტუდენტებმა მოიყარეს თავი და სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფება ჩამოაყალიბეს. კონსტანტინე ერისთავი მალე დაუახლოვდა მათ. 1910 წელს იგი „კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოების" თავმჯდომარედ აირჩიეს. ხშირად იღებდა მონაწილეობას გაფიცვების ორგანიზებაში, მაგალითად, აქტიურად ჩაერთო სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ სტუდენტთა გაფიცვაში, რისთვისაც საპატიმროშიც მოხვდა, თუმცა, რექტორის ჩარევის შემდეგ, სტუდენტები გაათავისუფლეს და ლექციებზე დასწრების უფლებაც, რომელიც შეწყვეტილი ჰქონდათ, აღუდგინეს.

გაფიცვის ჩაშლის შემდეგ პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტობა სწავლას დაეწაფა. კონსტანტინე ერისთავი გამოცდებისთვის მონდომებით ემზადებოდა და წარჩინებითაც დაასრულა კურსი. მას, როგორც საუკეთესო სტუდენტს, დაუნიშნეს სტიპენდია. მომდევნო კურსზე სტუდენტებს უკვე ხშირად უხდებოდათ კლინიკებში თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გაღრმავება. ამ პერიოდის პედაგოგებს იგი იხსენებს, როგორც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით მის მომავალ პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

ვინაიდან კონსტანტინე ერისთავს გადაწყვეტილი ჰქონდა ქირურგიაში გაეგრძელებინა საქმიანობა, დაუკავშირდა ცნობილი ქირურგის, ნ. ბურდენკოს, კათედრას და მუშაობა დაიწყო ოპერაციულ ქირურგიასა და ტოპოგრაფიულ ანატომიაში, რაც მისთვის, როგორც მომავალი ქირურგისთვის, ნაყოფიერი გამოდგა. ბურდენკოს რეკომენდაციით, კ. ერისთავი, ჯერ კიდევ მე-4 კურსის სტუდენტი, საფაკულტეტო ქირურგიის კათედრაზე ცნობილ ქირურგთან, პროფესორ ცეგე ფონ მანტეიფელთან, სუბასისტენტად მიიღეს. იგი ესწრებოდა ლექციებს, დღის პირველ ნახევარს კლინიკაში ატარებდა და ღრმად ეუფლებოდა ქირურგიას.

მე-4 კურსის ყველა საგნის მოსმენის შემდეგ გამორჩეული სტუდენტები, ეპიდემიასთან ბრძოლის მიზნით, სარატოვის გუბერნიაში გაგზავნეს; მე-5 კურსზე სწავლის პერიოდში კი, ოთხი სტუდენტი, მათ შორის კონსტანტინე ერისთავი, მობილიზაციით გაგზავნეს სპარსეთში. აქ იგი მოხვდა ჩრდილოეთ ირანში მივლენილ ექიმთა ჯგუფში, რომელიც სპარსეთში, სხვადასხვა დაავადების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობის გამოკვლევის საქმეში ჩაერთო. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაავადებული იყო მალარიით. იქ გახსნილ ქირურგიულ პოლიკლინიკას უამრავი ადამიანი მოაწყდა სამედიცინო დახმარებას მისაღებად.

პირველმა მსოფლიო ომმა კონსტანტინე ერისთავს სპარსეთში მოუსწრო. მალე იგი მიემგზავრება იურიევში სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად, რომელსაც წარმატებით აბარებს და 1914 წელს იღებს უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომს.

ფრონტზე

1914 წელს კონსტანტინე ერისთავი დაინიშნა ექიმად მოქმედ არმიაში, ვიბორსკში, ფინეთის ყურის სანაპიროზე. მალე ეს სამხედრო ნაწილი გაგზავნეს დასავლეთის ფრონტზე აღმოსავლეთ პრუსიის მიმართულებით. აქ მან პროფესიონალიზმით და სიმამაცით გამოიჩინა თავი და, ერთ-ერთი ექიმის ნაცვლად, მოითხოვა წინა ხაზზე გადაყვანა; იგი უშიშრად იდგა ბრძოლების შუაგულში და ძალისხმევას არ იშურებდა ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. 1916 წელს დიდი ზარალი განიცადა ამ დივიზიის ნაწილმა – დაიღუპა პოლკის საუკეთესო შემადგენლობა, ბევრი ტყვედ ჩავარდა; გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, მათ შორის – კონსტანტინე ერისთავი. ამის შემდეგ იგი ინიშნება საველე ევაკოჰოსპიტლის ექიმად ზურგში, დვინსკის რაიონში, სადაც ყოველი მხრიდან უამრავი დაჭრილი მოჰყავდათ, რომლებსაც უმუშავებდნენ ჭრილობებს, უკეთებდნენ ოპერაციებს და გამოჯანმრთელებული ჯარისკაცები ისევ ფრონტის წინა ხაზზე ბრუნდებოდნენ. ოპერაციებს, ძირითადად, ახალგაზრდა ქირურგი, კონსტანტინე ერისთავი, აკეთებდა ერთ კოლეგასთან ერთად. მისი დაუღალავი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ხშირად მაგალითად ასახელებდნენ, როგორც საუკეთესო ექიმს. ამასთან ერთად, მან მოახერხა ორი შრომის – „ინფიცირებულ ჭრილობათა მკურნალობა" და „აიროვანი განგრენის ვაქცინით მკურნალობა" – გამოქვეყნება წითელი ჯვრის შრომათა კრებულში, რომელიც ფრონტზე გამოდიოდა.

ფრონტზე, 1915 წელი

მოგვიანებით კ. ერისთავი გადაჰყავთ ტერიოკში, შემდეგ – იურიევში ევაკოპუნქტის ექიმად; მალე, თავისი სურვილით, სამუშაოდ გადადის წითელი ჯვრის სისტემაში და იგზავნება ისევ დასავლეთის ფრონტზე – ინიშნება წითელი ჯვრის ლაზარეთის უფროს ექიმად, სადაც მუშაობდა დემობილიზაციამდე.

სამშობლოში დაბრუნება

1917 წელს კონსტანტინე ერისთავი ბრუნდება სამშობლოში, ჯერ მშობლიურ ქალაქს, ქუთაისს, სტუმრობს, შემდეგ – თბილისს, სადაც სამედიცინო საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად, ესწრება საქართველოს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებას. კრებაზე დასმულა საკითხი თბილისის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის ჩამოყალიბების შესახებ, რასაც ბევრი მოწინააღმდეგ ჰყოლია იმ მოტივით, რომ, პროფესიონალთა სიმწირის გამო, ჯერ ამის შესაძლებლობა არ იყო. კონსტანტინე ერისთავი დიდად გაუკვირვებია ამ ამბავს. სამკურნალო ფაკულტეტის გახსნისთვის მხარი დაუჭერიათ **ს. ვირსალაძეს, ი. თიკანაძეს, ა. ალადაშვილს, ა. ნათიშვილს, ა. მაჭავარიანს, გრ. მუხაძეს და, მათ შორის, კონსტანტინე ერისთავს.** სწორედ მათი მოწადინებით და დიდი მეცნიერის და მამულიშვილის, **ივანე ჯავახიშვილის**, მხარდაჭერით საკითხი დადებითად გადაწყდა და თბილისის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი გაიხსნა. ამ ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობაში აქტიურად ჩაერთო კონსტანტინე ერისთავიც. პირველი სადოქტორო დისერტაცია აქ დაიცვა ცნობილმა მეცნიერმა **მიხეილ წინამძღვრიშვილმა**, შემდეგ – **ი. აბაკელიამ, ვლ. ჟღენტმა, ვ. ვარაზმა, ალ. წულუკიძემ, მ. მგალობლიშვილმა, შ. მიქელაძემ, ლ. ცეცხლაძემ და კ. ერისთავმა.**

კონსტანტინე ერისთავმა მუშაობა დაიწყო თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში ჯერ ორდინატორად, შემდეგ აირჩიეს პროპედევტიკული ქირურგიული კათედრის უფროს ასისტენტად. კათედრის გამგე ცნობილი ქირურგი, **ნიკოლოზ კახიანი** იყო. ამ დროისთვის კ. ერისთავს უკვე დიდი გამოცდილება დაუგროვდა და ბრწყინვალედ დაეუფლა პრაქტიკულ ქირურგიას, თუმცა სურდა სამედიცინო მეცნიერებაშიც მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქვა. მან ინტენსიურად დაიწყო სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა: „სწრაფი სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვანი ემბოლიის დროს", – ასეთი იყო დისერტაციის თემა. 1926 წელს, დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვის შემდეგ, ენიჭება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1928 წელს, დიდი ქირურგის და მეცნიერის, ნიკოლოზ კახიანის გარდაცვალების შემდეგ, კ. ერისთავი აირჩიეს კათედრის გამგედ. როგორც ქირურგი მეცნიერი, იგი ამ კათედრაზე ჩამოყალიბდა და მისი სახელი, როგორც საუკეთესო ქირურგის, უკვე გასცდა ქვეყნის ფარგლებს.

ვირტუოზი დასტაქარი

„კლინიკაში მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალება მომეცა, – აღნიშნავდა კ. ერისთავი – **ავადმყოფებთან დამოკიდებულების ჩვენი კურსი თავიდანვე იყო – „ყველაფერი ავადმყოფებისთვის". მერწმუნეთ, როგორ გეზსაც ხელმძღვანელი აიღებს, ისე წავა ყველაფერი. როგორც მე, ისე ყველა ჩემი თანამშრომელი, არაფერს ვიშურებდით ავადმყოფის გადასარჩენად"**... რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობით მან სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო ქირურგმა და უკვე არა მხოლოდ „რკინიგზელები", არამედ ქალაქის ბევრი მცხოვრები მიმართავდა დახმარებისთვის.

სამშობლოში ახალდაბრუნებულ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქირურგს, ცნობილი რევოლუციონერის, ალექსი (საშა) გეგეჭკორისთვის, რომელიც საქართველოში მაშინ არალეგალურად იმყოფებოდა, რთული ოპერაცია ბინაზე დამოუკიდებლად გაუკეთებია, რადგან ავადმყოფის კლინიკაში გადაყვანა მის უცილობელ დაპატიმრებას ნიშნავდა. პაციენტის სრულ გამოჯანმრთელებამდე იგი სახლში აკითხავდა და მკურნალობდა მას, რაც იმ დროს საშიში იყო და თითქმის გმირობას უდრიდა.

სტუდენტებთან ერთად საოპერაციოში

„ხან, ღამის 2 საათზე, კლინიკაში მოულოდნელად გამოცხადებულა და უნახავს მძიმე ავადმყოფები, რომლებსაც იმედს და გამოჯანმრთელების რწმენას უნერგავდა... არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ავადმყოფს ყოყმანი დაეწყოს თუნდაც ურთულესი ოპერაციის გაკეთებაზე, თუკი იცის, რომ მისი სიცოცხლე ამ სახელოვანი ქირურგის ხელშია... კ. ერისთავი ბინაზე სისტემატურად იღებს ავადმყოფებს და დადის მათთან სახლში... მისი კლინიკის კარიც ღიაა ყველასთვის, ვისაც ექიმი ესაჭიროება, მაგრამ ეს დახმარება ყოველთვის უანგარო და უფასოა", – აღნიშნავს სერგო საყვარელიძე წიგნში, რომელიც კონსტანტინე ერისთავის ცხოვრებაზე გვიამბობს. აღნიშნულ წიგნშიც და კ. ერისთავის „მოგონებაშიც" არაერთი შემთხვევაა აღწერილი, როცა, **ურთულესი ოპერაციული ჩარევის დროსაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქირურგი იმარჯვებდა.**

აღსანიშნავია რომ, მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელმა საქართველოში, **გრიგოლ მუხაძემ**, მეუღლისთვის რთული ოპერაციის ჩატარება სწორედ კონსტანტინე ერისთავს ანდო, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი და, როგორც თავადვე აღნიშნავს, ამის შემდეგ პაციენტმა 36 წელი იცოცხლა.

დიდი ქირურგი და არაჩვეულებრივი პიროვნება არაერთხელ გაუღვიძებიათ შუაღამით, ომის პერიოდშიც და მერეც, როცა სასწრაფო ოპერაცია იყო გასაკეთებელი. ისიც უანგაროდ ეხმარებოდა ყველას და არაერთი სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს ხელიდან.

კონსტანტინე ერისთავი ერთნაირი წარმატებით აკეთებდა მარტივ და რთულ ოპერაციებს; კლინიკაში, მისი ხელმძღვანელობით, გაკეთდა უნიკალური ოპერაციები: მან დანერგა საქართველოში გულის, ფილტვის, სისხლძარღვთა, საყლაპავი მილის, თავის ტვინის და სხვა ოპერაციები. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე ერისთავი გაბედულად მოქმედებდა უმძიმესი შემთხვევების დროსაც კი. ეს გამბედაობა საკუთარი თავის რწმენას ემყარებოდა, რისი საფუძველიც ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება იყო.

ნიჭიერი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი

1938 წელს კონსტანტინე ერისთავი დაინიშნა თბილისის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს დირექტორად. მოწოდებით კლინიცისტს დიდად არ ხიბლავდა ადმინისტრაციული საქმიანობა, მაგრამ, პასუხისმგებლობის გამო, ენერგიულად შეუდგა მუშაობას საავადმყოფოს კეთილმოწყობისთვის. ორ წელიწადში რკინიგზის საავადმყოფო ერთ-ერთი სანიმუშო გახდა მთელ ამიერკავკასიაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მზრუნველობით, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის 6 წამყვანი კათედრისთვის მაღალ დონეზე მოეწყო სათანადო ბაზები; დიდია მისი წვლილი სისხლის გადასხმის სადგურის მუშაობის გაფართოებაში. 1932 წელს, მისი თაოსნობით, შეიქმნა სისხლის გადასხმის პირველი ცენტრალური სადგური ამიერკავკასიაში; მისი პირდაპირი მითითებით და ხელმძღვანელობით, ამ სადგურის დასაყრდენი პუნქტები იხსნება ერევანში, ლენინაკანში, ბაქოში, ბათუმში... 1939 წელს კ. ერისთავი საქართველოს ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს, მოგვიანებით – საქართველოს ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარედ; 1941-1950 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი; 1948 წელს კონსტანტინე ერისთავი დაინიშნა აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად; ხელმძღვანელობდა საქარ-

დასასრული მე-7 გვერდზე

კონსტანტინე ერისთავი – მეექვსე რექტორი

დასაწყისი მე-6 გვერდიდან

თველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებას, 1950 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. 1941 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; 1950 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. როგორც თავად აღნიშნავს, ადმინისტრაციული საქმიანობა მისი მოწოდება არასოდეს ყოფილა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნაყოფიერად და წარმატებით იღვაწა.



ხახელოვან კოლეგებთან
(XX საუკუნის 60-იანი წლები)

პრინციპული რექტორი

1941 წელს კონსტანტინე ერისთავი ინიშნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორად. როგორც ის იხსენებს, რკინიგზის საავადმყოფოს დატოვება არ უნდოდა და უარი თქვა ინსტიტუტის დირექტორობაზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, გადაწყდა, რომ ორივეგან იმუშავებდა. სულ რამდენიმე დღეში დიდი სამამულო ომი დაიწყო და მან კომისარს შეატყობინა, რომ ფრონტზე სურდა წასვლა. მეორე დღესვე უარით უპასუხეს იმ მოტივით, რომ ახლა ინსტიტუტის დირექტორად უფრო საჭირო იყო. დირექტორად დანიშვნიდან 2 დღის შემდეგ აცნობეს, რომ მე-5 კურსის ყველა სტუდენტ მამაკაცს ორ საათში წაიყვანდნენ ჯარში. მისი პიროვნების დასახასიათებლად ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება ამ ფაქტთან დაკავშირებული ამბის გახსენება, რომელსაც თავად გვიამბობს: „გმირთა მოედნიდან უნდა გასულიყო ეშელონი. წინა ომის გამოცდილებიდან ვიცოდი, რომ ოთხკურსდამთავრებული სტუდენტები ექიმებად მიჰყავდათ. საჭირო იყო მათ ხელზე ჰქონოდათ ცნობა 4 კურსის მოსმენის შესახებ. ინსტიტუტში გამოვიძახე თანამშრომლები, დავსვი მემანქანეები და დასაბეჭდად მივეცი ტექსტი, რომ თითოეულმა სტუდენტმა მოისმინა 4 კურსი და მეხუთეზეა გადასული. დრო არ ითმენდა, საცაა უნდა გასულიყო ეშელონი. რისი დაბეჭდვაც მოვასწარით, წავიღე მოედანზე, ინსტიტუტში კი დავიბარე, თანდათან მოეწოდებინათ გამზადებული ტექსტი; ყოველ 10 წუთში მოდიოდა 10-20 დაბეჭდილი ცნობა, ვაწერდი ხელს და ფრონტზე წამსვლელთ ვაბარებდი. როდესაც ეშელონი დაიძრა სადგურისკენ, ყველას ხელთ ჰქონდა ასეთი ცნობა. ამრიგად, მაშინდელი გამოშვება ფრონტზე ექიმებად წავიდა“. რექტორს მიაჩნდა, რომ, პრაქტიკული გამოცდილების მიღებასთან ერთად, სტუდენტები ექიმებად მეტად გამოადგებოდნენ ქვეყანას, ვიდრე ჯარისკაცებად. დიდი ქირურგის შვილიშვილმა, **დალი გორდეზიანმა**, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამ სტუდენტებს შორის ყოფილა პროფესორი **გიორგი ბოჭორიშვილი**, რომელსაც მოგვიანებით, სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი თავშეყრის დროს, ტრიბუნიდან გამოუხატავს მადლიერება: თუკი დღეს აქ ცოცხალს მხედავთ, ეს კონსტანტინე ერისთავის დამსახურებაა. სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორს ამით არ დაუსრულებია ეს ისტორია – გამოცხადებულა კომისართან და განუცხადებია: საჭიროა სტუდენტებს მიეცეთ ინსტიტუტის დამთავრების საშუალება... თუ ომი გაგრძელდა, ინსტიტუტი ვერცერთ ექიმს ვერ მისცემს ომს, რადგან ექიმის მომზადება რამდენიმე თვეში შეუძლებელიაო. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. ამით მან უზრუნველყო ინსტიტუტში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. მალე მოვიდა ბრძანება, დირექტორის განკარგულებით, ინსტიტუტში სტუდენტების უგამოცდოდ ჩარიცხვის შესახებ. ჩარიცხვის თითქმის ყველა მსურველს დაახლოებით ერთნაირი მონაცემები ჰქონდა, ამიტომ ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. შესამოწმებლად გამოყვეს კომისია, მიღებული აღმოჩნდა 1700 სტუდენტი. ასეთი შედეგის გამო რექტორს პასუხისგება ელოდა, მაგრამ ბიუროს სხდომაზე განაცხადა: „გითხარით, რომ დირექტორად არ გამოვდგები! გამათავისუფლეთ – თქვენც დაისვენებთ და მეც!“... „სწორედ იმით დაისჯებით, რომ არ გაგათავისუფლებთ!“ – უპასუხეს სხდომაზე.

ამ პერიოდში ბევრი ევაკუირებული სტუდენტი მოდიოდა თბილისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთხელ, შუაღამისას, ტელეფონით აცნობეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან 82 სტუდენტი (ყველა ქალი) მოვიდა ფეხით, რომლებიც არასახარბიელო მდგომარეობაში არიანო. რექტორმა დილამდე თავის კაბინეტში მოათავსებინა ლტოლვილები, შემდეგ კი ყველა მათგანი სასწრაფო წესით ჩარიცხა ინსტიტუტში, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა დროულად გაეცა მათთვის სასურსათო ბარათები თუ ტანსაცმელი. მოგვიანებით, ეს ისტორია, როგორც უკანონო გადაწყვეტილება, „კეთილისმსურველებმა“ გაუხსენეს, თუმცა ვერაფერი დააკლეს მის რეპუტაციას.

ომის დროს, კვების პროდუქტების ნაკლებობის გამო, წარმოება-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთებს გადასცემდნენ დამხმარე მეურნეობისთვის. სამედიცინო ინსტიტუტს საგარეჯოს რაიონში გამოუყვეს რამდენიმე ჰექტარი მიწა, სადაც, რექტორის ხელმძღვანელობით და ჩართულობით, პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა საუკეთესო მეურნეობა მოაწყვეს, რომელიც მძიმე წლებში ამარაგებდა სტუდენტთა სასადილოს. კ. ერისთავის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სამედიცინო ინსტიტუტის არც ერთი რგოლი, ამასთან, ძალას და ენერგიას არ იშურებდა, რომ ინსტიტუტს პირნათლად მოეხადა ვალი სამშობლოს წინაშე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ახალი თაობის პროფესიონალების აღზრდას, რომლებმაც, დიდ სამამულო ომშიც და ზურგშიც, მაღალპროფესიონალიზმით და თავდადებით ასახელეს ინსტიტუტიც და სამშობლოც.

მეცნიერი და პედაგოგი

წარმატებულ კლინიკურ და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ერთად, დიდია კონსტანტინე ერისთავის წვლილი სამედიცინო მეცნიერების განვითარებაშიც. იგი ავტორია 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის, რომელიც მოიცავს მედიცინის სხვადასხვა აქტუალურ საკითხს: ინფიცირებული ჭრილობების მკურნალობას, დამწვრობას, ჩირქოვანი ქირურგიის პრობლემებს, ცხიმოვან ემბოლიას, სისხლის გადასხმის შედეგად სხვადასხვა გართულებას, მუცლის ღრუს ქირურგიას, თავის ტვინის ქირურგიას, აღდგენითი ქირურგიის და წყლულოვანი დაავადების საკითხებს, ღვიძლის, სანაღვლე გზების და კუჭქვეშა ჯირკვლის ქირურგიას, სიმსივნეების ეტიოპათოგენეზის და მკურნალობის საკითხებს, მედიცინის ისტორიას...

აღსანიშნავია, რომ, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, გამოქვეყნებულია 1000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი თეორიული და პრაქტიკული ქირურგიის სხვადასხვა საკითხზე. ამ ნაშრომებიდან 80 საკანდიდატო და 20 სადოქტორო დისერტაციაა. გარდა სამეცნიერო შრომებისა, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის სტატია.

კონსტანტინე ერისთავი არის ქართულ ენაზე კლინიკური ქირურგიის პირველი სახელმძღვანელოს თანაავტორი და რედაქტორი. მისი პედაგოგიური საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ საინტერესო ლექციებს სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმებისთვის, არამედ მათ სწავლებას კლინიკებსა და საავადმყოფოებში – ავადმყოფის საწოლთან საოპერაციოში თუ შესახვევ ოთახში; ათწლეულების მანძილზე აღზარდა ექიმთა თაობები, რომელთა წარმატებები ბავშვივით ახარებდა და ეამაყებოდა...

შვილიშვილის ნაამბობიდან

კონსტანტინე ერისთავს ჰყავდა მეუღლე, **ოლღა ბებურიშვილი** და ორი შვილი: **დავითი და მარიკა**. ჩვენ შევხვდით მის შვილიშვილს, ქალბატონ **დალი გორდეზიანს,** რომელიც გვესაუბრა სახელოვანი ბაბუის შესახებ და არაერთი დღემდე გაუხმაურებელი ფაქტი გაიხსენა მისი ცხოვრებიდან:

„ბაბუას ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი, დავითი, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა, რაც დიდი ტრაგედია იყო ოჯახისთვის. მე გახლავართ მისი ქალიშვილის, მარიკა ერისთავის შვილი და მისი ერთადერთი შვილიშვილი. დედა და მამა პროფესიით ექიმები იყვნენ. სტუდენტი ვიყავი, ბაბუა რომ გარდაიცვალა და ბევრი რამ კარგად მახსოვს. მისი ერთ-ერთი მახასიათებელი სიკეთის კეთების მოთხოვნილება იყო და ბოლომდე ასე იცხოვრა...

ბაბუაზე შემიძლია უსასრულოდ ვისაუბრო, რადგან დიდი სითბო და სიყვარული მახსოვს მისგან – იმდენად სათუთი და მგრძნობიარე დამოკიდებულება ჰქონდა ჩემდამი, რომ თუ რომელიმე სტუდენტს დალი ერქვა, მის მიმართაც განსაკუთრებულ სითბოს გამოხატავდა...

გაგიკვირდებათ და, კლინიკისტობის მანძილზე, არასოდეს აუღია ფული ავადმყოფისგან, პირიქით – მახსოვს შემთხვევები, როცა იქეთ მიუცია თანხა, რომ ნამალი და საკვები ეყიდათ.

სტუდენტების მიმართ საოცრად მზრუნველი გახლდათ. ეს არსად დაწერილა და მინდა გიამბოთ: სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი იყო კონია ბაბუა, როცა მის ერთ-ერთ სტუდენტს შვილი გარდაეცვალა და ლექციებზე სიარული შეწყვიტა. ბაბუა ჯერ დაუკავშირდა და სთხოვა ინსტიტუტში დაბრუნება, თუმცა – უშედეგოდ. მერე მიაკითხა და წამოიყვანა. ეს გოგონა მომავალი ოფთალმოლოგი, ნათელა მესხი, გახლდათ, რომელსაც არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პროფესიული განათლების მიღებას ბაბუას უმადლის. ასეთი დამოკიდებულება მისთვის უცხო არ იყო: ყველა მისი სტუდენტის შესახებ ფლობდა ინფორმაციას, იცოდა მათი პრობლემები და ცდილობდა მაქსიმალურად დახმარებოდა თითოეულს. უამრავი მაგალითის გახსენება შეიძლება: მაგალითად, ერთი უთვისტომო სოხუმელი სტუდენტი, რომელსაც საცხოვრებელიც არ გააჩნდა, სახლში მოიყვანა, აღზარდა, როგორც იტყვიან, გზაზე დააყენა, ექიმად და ღირსეულ პიროვნებად ჩამოაყალიბა. მის შთამომავლობასთან ჩვენ ახლაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს.



შვილთან და შვილიშვილთან
ერთად

მეამაყება ისიც, რომ მართლაც დიდი ქირურგი, ასეთი კეთილშობილური ბუნების, თან – სამართლიანი ადამიანი იყო და დიდ პატივისცემას იმსახურებდა კოლეგებში, სტუდენტებში, მაღალჩინოსნებში და, ასე განსაჯეთ, კრიმინალებშიც კი... ერთხელ, გვიან ღამით, პაციენტისკენ მიმავალს, გზად ქურდები დახვდნენ, მაგრამ მისი დიდი ავტორიტეტი აქაც დაეხმარა – იცნეს და ბოდიში მოუხადეს.

მის პროფესიონალიზმზე ბევრი თქმულა და დაწერილა... ვეცდები, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ისტორიები გავიხსენო: ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ყოფილი ვაკის „ლეჩკომბინატში“, პატარა პაციენტი, 15 წლის მოზარდი, გადაარჩინა: ბიჭს თურმე გასაწერად ამზადებდნენ, ბაბუამ შეხედა თუ არა, სასწრაფოდ საოპერაციოდ გააყვანინა – მხოლოდ ვიზუალური შთაბეჭდილებით, პაციენტის ჰაბიტუსის მიხედვით და საკუთარი კლინიკური ალღოს წყალობით, მოახდინა სწრაფი რეაგირება და ბიჭს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ბაბუა, თავმდაბლობის გამო, არასოდეს უსვამდა ხაზს საკუთარ ღირსებებს, თუმცა, მისი სტუდენტობის პერიოდიდან, კიდევ ერთი საინტერესო ისტორია ვიცი: საუკეთესო სტუდენტი იყო და, როგორც ასისტენტი, ხშირად ესწრებოდა ოპერაციებს; ყველა პატივს სცემდა და აფასებდა, როგორც მომავალ იმედისმომცემ ქირურგს. ამ პერიოდში იურიევში რომელიღაც მაღალჩინოსნის დედა ცუდად გამხდარა, ექიმი იმ დროს ადგილზე არ ყოფილა და უთქვამთ: სტუდენტი კონსტანტინე ერისთავი დასვამს სწორ დიაგნოზსო! მართლაც, სანამ ექიმი ადგილზე დაბრუნდა, პაციენტის მდგომარეობა, ბაბუას ჩარევის შედეგად, გაუმჯობესდა და მალე გამოჯანმრთელდა კიდეც,

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი თავმდაბლობის შესახებ: ერთხელ ქირურგიის ინსტიტუტში უნდა მისულიყო და კარისკაცი გააფრთილეს: კონსტანტინე ერისთავი უნდა მოვიდეს და უცხოები არ შემოუშვათო. მან ბაბუა ვერ იცნო და არ შეუშვა შენობაში. როცა უთხრეს, რომ ეს თავად კონსტანტინე ერისთავი იყო, დაფრთხა სამსახურიდან გათავისუფლების შიშით, მაგრამ ბაბუასგან, ნაცვლად გაკიცხვისა, მადლობა დაიმსახურა თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის.

1956 წლის მარტის საპროტესტო გამოსვლებს საქართველოში ათეულობით ადამიანი ემსხვერპლა; ხელისუფლება დიდხანს ცდილობდა ტრაგედიის მასშტაბების მიჩქმალვას. ობიექტური ინფორმაციის დადასტურება და გავრცელება მაშინ არცთუ უსაფრთხო იყო. კონსტანტინე ერისთავმა ამ შემთხვევაშიც არ უღალატა ზნეობრივ კრედოს და ხმამაღლა განაცხადა, რომ დახოცილთა უმრავლესობა ზურგიდან სროლის შედეგად დაიღუპა. საერთოდაც, ის იმით გახლდათ გამორჩეული, რომ არასოდეს ემორჩილებოდა ოფიციოზის მითითებებს, თუკი მის სინდისთან და სამართლიანობასთან შეუთავსებელი იყო.

ერთხელ, შავბნელ 1937 წელს, მეგობრის შვილი გარდაუვალი დაპატიმრებისგან იხსნა მრავალჯერადი ქირურგიული ჩარევის წყალობით, რაც, სინამდვილეში, მას არ სჭირდებოდა, მაგრამ სხვაგვარად გადასახლება და სიკვდილი არ ასცდებოდა. ამის გამო უჩივლეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერი დაუმტკიცეს და დაუთმეს. **აღსანიშნავია, რომ ყველა მსგავს შემთხვევაში, უმთავრესად, რისკზე მიდიოდა, რადგან ადამიანების დახმარების სურვილი ამოძრავებდა და ძალას მატებდა.**

უბრალო, გულმოწყალე, რომ იტყვიან: დიდთან დიდი და ბავშვთან ბავშვი იყო; ყველას მოამაგეს, მეუღლეც ღვთისნიერი შეხვდა. ერთხელ, პატარაობისას, მახსოვს, მეზობლის ბავშვებმა შოკოლადი შემიჭამეს; ატირებული დავბრუნდი სახლში, რის გამოც ბებიამ და ბაბუამ დამტუქსეს – შენ თვითონვე უნდა გაგეყო ბავშვებისთვის ტკბილეულიო.

ბაბუას ხშირად უთქვამს: ექიმობას დიდი გარჯა და ძალისხმევა სჭირდება, თითქმის თავგანწირვა, რისთვისაც არ მემეტებიო. მე მონათესავე პროფესია, ბიოლოგობა, ავირჩიე. ჯერ უცხო ენების ინსტიტუტში ვაბარებდი. ისე მოხდა, რომ 1 ქულა დამაკლდა მეც და, ჩემთან ერთად, 21 აბიტურიენტს; ბაბუას პატივისცემის ნიშნად, სცადეს მხოლოდ ჩემი ჩარიცხვა, თუმცა მისი პასუხი იყო: ან 21-ვე ჩაირიცხება, ან – არცერთიო და... ყველა ჩარიცხეს!.. იმის თქმა მინდა, რომ არასოდეს სხვაზე წინ საკუთარი თავი არ დაუყენებია და თავისი ავტორიტეტით ბოროტად არ უსარგებლია...

გვყავს პატარა მარიკა, კონსტანტინე ერისთავის შვილთაშვილი, რომელიც დედაჩემის სახელს ატარებს. ახლა 13 წლისაა, თუმცა ჯერ კიდევ პატარას, სურვილი აქვს ფილმი გადაიღოს დიდ ბაბუაზე; დარწმუნებული ვარ, ღირსეული ადამიანი გაიზრდება, სწორედ ისეთი, როგორითაც იამაყებდა კონსტანტინე ერისთავი“...

„ჩემი მოგონება ჩემი აღსარებაა – რაც მე განმიცდია და მინახავს... ჩემს ნათქვამში რაც კარგია, მინდა, ახალგაზრდებმა მაგალითად გამოიყენონ და რაც ცუდია – გააანალიზონ და არ გაიმეორონ. ჩემი აზრით, ასე მოიქცევა ყველა, ვისაც ის ხალხი უყვარს, რომელსაც ემსახურება“, – აღნიშნავს კონსტანტინე ერისთავი „მოგონებაში“. მის შესახებ წაკითხული და მოსმენილი სწორედ ამ დიდი სიყვარულის დასტურია...

... და მაინც, მიუხედავად ვრცელი სტატიისა, დარჩა უკმარისობის განცდა, რომ ბევრი რამ კიდევ ვერ ვთქვით სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე რექტორზე, რომელმაც სადაც იღვაწა, ყველგან ადამიანების დიდი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რადგან არა მხოლოდ სიტყვით და მოწოდებით, არამედ საკუთარი მაგალითით და პიროვნული პასუხისმგებლობით აჩვენა, როგორი უნდა იყოს ექიმი, ხელმძღვანელი და, უბრალოდ, ადამიანი.

ნატო ბოლქვაძე

თსსუ-ის კუჩისდამთავრებული

მკუჩნაკი – ღრმა ცოდნით და დიდი გამოცდილებით

ჩვენ ირგვლივ არაერთი წარმატებული ექიმია, ნებისმიერ დროსა და ვითარებაში, დაუფიქრებლად რომ შეგიძლია ანდო საკუთარ თუ ახლობლის სიცოცხლეზე ზრუნვა. ამჯერად მკითხველს სწორედ ასეთი პროფესიონალის შესახებ გვსურს ვესაუბროთ – გოგი სარიშვილი მაღალი საექიმო ერუდიციის მქონე წარმატებული ქართველი მკურნალია – მრავალრიცხოვანი მადლიერი პაციენტით, როგორც ჩვენთან, ასევე, ჩვენს სამეზობლოში რომ სჯერათ და ენდობიან.

გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ბატონი გოგი მხოლოდ პერკუსიით სვამს სწორ დიაგნოზს და რაც შეეხება აუსკულტაციას, აქ იგი ნამდვილი დიდოსტატია – ფონენდოსკოპით ბევრჯერ აღმოუჩენია ისეთი დაავადებების სიმპტომები, გამოცდილი რენტგენოლოგებისთვისაც რომ დაფარულია ხოლმე. უცხოური ენების საფუძვლიანი ცოდნა ბატონ გოგის თანამედროვე სამედიცინო ლიტერატურის გაცნობის საშუალებას აძლევს, სიახლეების კრიტიკულ ასპექტში გასაანალიზებლად და დიაგნოსტიკასა და სამკურნალო პრაქტიკაში წარმატებით დასანერგად.

ბატონი გოგი განსაკუთრებით სიღრმისეულად ფლობს ფარმაკოლოგიას – დიდი ყურადღებით ეცნობა ყოველ ახალ პრეპარატს და კონკრეტული პაციენტის მდგომარეობის და წამლის დამოუკიდებელი თუ ერთდროული მოქმედების მექანიზმის გათვალისწინებით იყენებს.

გოგი სარიშვილი წარმოშობით ლანჩხუთელია, მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. N1 საშუალო სკოლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 1975 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა და საუკეთესოთა შორის საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა; შემდეგ თბილისის მე-8 კლინიკურის საავადმყოფოს ექიმი ინტერნი გახლდათ; ინტერნატურაში ძირითადად ყურადღებას შინაგანი სნეულებების გაცნობას უთმობდა და დაიწყო კიდეც ამ ურთულესი დარგის სიღრმისეული შესწავლა; 1982-1984 წლებში თბილისის გაერთიანებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების 31-ე ქვესადგურის ექიმ-თერაპევტად მუშაობდა, შემდეგ – ქალაქის მე-2 კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-რეზუსოლოგად, მოგვიანებით – ექიმ თერაპევტად.

ამჟამად ბატონი გოგი სარიშვილი ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკის თერაპიული განყოფილების გამგეა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ახალგაზრდა ექიმები და კოლეგები გაურკვეველი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, დაუყოვნებლივ ბატონ გოგის მიმართავენ დასახმარებლად, რომელიც, თვისი გონივრული რეკომენდაციებით, ყოველთვის მათ გვერდითაა.

1994 წელს გოგი სარიშვილმა, პროფესორ გურამ რცხილაძესთან ერთად, რომელიც მისი ხელმძღვანელი გახლდათ, საკუთარი კლინიკურ-ექსპერიმენტული მონაცემები მოახსენა ბუდაპეშტის სამედიცინო კონგრესს, სადაც, საკუთარი გამოკვლევების გაანალიზების საფუძველზე, გამოთქვა საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, რომ კუჭის წყლულის ეტიოლოგიაში, სიმპათიკო-ადრენერგული სტრესის პარალელურად, აქტიურ როლს უნდა ასრულებდეს კამპილო, იგივე – ჰელიკობაქტერიები, რომელიც ათიოდე წლის წინ მიღებული იყო იტალიელი და გერმანელი მეცნიერების მიერ, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომ მიივიწყეს.

მიღებული კლინიკურ-ექსპერიმენტული მონაცემები გოგი სარიშვილმა დისერტაციის სახით წარმოადგინა, სადაც, ამ მიკროორგანიზმების დათრგუნვის გათვალისწინებით, მოუწოდა მკურნალობის ორიგინალური მეთოდის – მჟავიანობის დამთრგუნველი პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების გამოყენების თაობაზე.

2001 წელს გოგი სარიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, დაიცვა დისერტაცია თემაზე – „კუჭის ექსკრეციული და სეკრეციული ფუნქციის ანალიზი“. უნდა ითქვას, რომ დისერტანტის თემამ, სადისერტაციო საბჭოს წევრ ცნობილ ფიზიოლოგთა გარდა, მოწვეულ თერაპევტთა უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა.

სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოებისთვის ადვილი დასაჯერებელი როდი იყო ინფორმაცია ამ მიკროორგანიზმის პათოგენური როლის შესახებ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისა და გასტრიტის განვითარებაში, რადგან იმ პერიოდში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ არცერთ მიკროორგანიზმს არ შეუძლია დიდხანს იცოცხლოს კუჭის მჟავე არეში და მიკროორგანიზმის ეტიოლოგიური როლის აღიარება კუჭის დაავადებათა პათოლოგიაში მხოლოდ დამატებითი ექსპერიმენტებისა და კლინიკური დაკვირვებების შედეგად მოხდა. ცნობილი ფაქტია, რომ ამ მხრივ ყველაზე დამაჯერებელი ექსპერიმენტი ჩაატარა ავსტრალიელმა მეცნიერმა ბარი მარშალმა. მან პეტრის ფინჯნიდან შესვა ჰელიკობაქტერიის შემცველი კულტურა, რის შედეგადაც გასტრიტით დაავადდა და ენდოსკოპიურად დაუდასტურდა წყლული, სადაც ნანახი იქნა ბაქტერიები. მან იმკურნალა ქართველი ექიმების – გოგი სარიშვილისა და გურამ რცხილაძის მიერ მოწოდებული ზემოთ აღნიშნული მეთოდით და განიკურნა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ქართველ ექიმებს და აღნიშნა კიდეც მათი როლის შესახებ ჰელიკობაქტერიების მოქმედების აღმოჩენაში. შემდგომისთვის კი, ბარი მარშალი და ავსტრალიელი მეცნიერი, რობინ უორენი, კვლავ განაგრძობდნენ კვლევებს ამ მიმართულებით, რითაც დაამტკიცეს, რომ ანტიბიოტიკების უმრავლესობა ეფექტურია ამ ეტიოლოგიათა მკურნალობაში; 2005 წელს კი, მათ, ჰელიკობაქტერიების მნიშვნელობის აღმოჩენისაათვის, ნობელის პრემია მიენიჭათ.

ბატონი გოგის გვერდით დგას მისი მეუღლე, ლუიზა ჯღირაძე, ფიზიკა-მათემატიკის დარგის სპეციალისტი, რომელსაც დიდი წვლილი აქვს მეუღლის წარმატებებში და ჰყავთ შესანიშნავი შვილი – აკაკი სარიშვილი, მედიცინის დოქტორი, შინაგანი მედიცინისა და ენდოსკოპიის საუკეთესო სპეციალისტი.

ბატონი გოგისთვის არ არსებობს დასვენების, ან სადღესასწაულო დღეები; დღენიადაგ კლინიკაშია და, ენერგიული და მოუღლელი საქმიანობით, კოლეგებისა და პაციენტების დიდ ნდობას და სიყვარულს იმსახურებს. წარმატებები მინდა ვუსურვო მას – წინსვლა არ მოჰკლებოდეს ჰიპოკრატეს ფიცის ღირსეულად აღმსრულებელ და თავისი საქმის ერთგულ პროფესიონალს!

პროფესორი
გურამ ბექაია

ღიდი ექიმი, მიავაკი თაობის ამაგდაჩი მასწავლებელი



მიმდინარე წლის 28 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბატონ ირაკლი ფაღავას, დაბადებიდან 108 წელი შეუსრულდებოდა.

ბავშვზე მზრუნველობა ქართველი ხალხის ერთ-ერთი უკეთილშობილესი ტრადიციაა, რისი მაგალითიცაა ფაღავების საჩინო სამედიცინო ოჯახი; მამა – ყარამან ფაღავა, ჭიათურაში ბავშვთა სამედიცინო სამსახურის მესაძირკვლე გახლდათ; ბატონი ირაკლიც ღირსეული გამგრძელებელი იყო მისი საქვეყნოდ აღიარებული მასწავლებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მარიამ უგრელიძის, პრაქტიკული საექიმო და სამეცნიერო საქმიანობისა.

ირაკლი ფაღავას ქართულ პედიატრიაში განსაკუთრებული წვლილის შეტანა ერგო წილად – იყო ყველასთვის სანდო და ამაგდარი, სახელმოხვეჭილი მკურნალი, მეცნიერების პოპულარიზატორი, ბავშვთა აღზრდისა და განვითარების თემებზე საინტერესო სატელევიზიო თუ საგაზეთო პუბლიკაციების ციკლების ავტორი;

28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბავშვთა სნეულებათა კათედრას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (ამჟამად – უნივერსიტეტი), რაც განსაკუთრებული აღმავლობის პერიოდი იყო საქართველოს პედიატრიის სამედიცინო პრაქტიკულ და კლინიკურ ისტორიაში. იგი 1959-1963 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავარი პედიატრი იყო, ხოლო 1967-1978 წლებში – პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით, პირველად საბჭოთა კავშირში, დადგინდა დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობის მნიშვნელობა ალერგიისადმი დისპოზიციაში; მის მიერაა თავის დროზე შემოღებული ტუბერკულოზური მენინგიტის სადიაგნოსტიკო სინჯის დანერგვა; ასევე, შესწავლილია ალერგიულ დაავადებათა გავრცელების არეალი საქართველოში. იგი, განწყობის თეორიის საფუძველზე, იკვლევდა სომატური დაავადებების გენეზში ფსიქოლოგიური ფაქტორების როლს. მისი ხელმძღვანელობით 32 დისერტაცია შესრულდა.

მრავალწახნაგოვანი პიროვნება იყო, პირველ რიგში – საკუთარი გამოცდილების უანგარო, უშურველი გადამცემი ახალგაზრდებისთვის, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ბრწყინვალე პედაგოგი, სტუდენტთა 50-მდე თაობამ გაიარა მის ხელში. მისი ლექციები შთამბეჭდავი და სიღრმისეული იყო, რომლის მოსმენას სხვა ფაკულტეტების სტუდენტებიც ესწრაფვოდნენ; ახალგაზრდებს დეონტოლოგიის და სამედიცინო ეთიკის გაკვეთილებს უტარებდა და ორატორობით უკლებლივ ყველას მოჯადოება შეეძლო.

პროფესორი ირაკლი ფაღავა ავტორია საქართველოში პირველად, 2 ტომად გამოცემული პედიატრიული სახელმძღვანელოსი.

ის თეატრალური თუ მუსიკალური ნიჭითაც გახლდათ დაჯილდოებული. იყო რამდენიმე რომანსის ავტორი.

ბატონმა ირაკლი ფაღავამ საუკეთესო ოჯახი დატოვა – შვილები და შვილიშვილები დღეს მედიცინის განვითარების ავანგარდში დგანან და, თავიანთი შთამბეჭდავი პრაქტიკული, სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობით, ღირსეულად აგრძელებენ ქართული სამედიცინო სკოლის ღირსეულ ტრადიციებს, რომლის ჩამოყალიბებაშიც უმნიშვნელოვანესია პროფესორ ირაკლი ფაღავას წვლილი და დამსახურება.

ხმა წარსულიდან

„სამედიცინო გაზეთის“ (ადრე – „მედიცინის მუშაკის“) არქივი ბევრ საინტერესო ინფორმაციას ინახავს და, გარდა იმისა, რომ მის ფურცლებზე აღბეჭდილი სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია დღევანდელობის გადმოსახედიდან წარსულის გასააზრებლადაც მნიშვნელოვანია, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს მედიცინის კორიფეთა ნააზრევი, მათი რჩევები თუ სურვილები სტუდენტებისადმი, ახალგაზრდა ექიმებისადმი, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას; მით უფრო, რომ ისინი, მედიცინის ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამედიცინო მეცნიერების და განათლების სათავეებთან იდგნენ და მათი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია მომავალი თაობებისთვის.

„ექიმის სპეციალობა ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური და პოპულარული სპეციალობაა, ამასთანავე, – ფრიად საპასუხისმგებლო, რადგან ექიმს, დიდ ცოდნასთან ერთად, უნდა ახასიათებდეს პროფესიისადმი დიდი სიყვარული, გულისხმიერება, სათნოება, სისპეტაკე, თავდადება... მხოლოდ ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება გავამართლოთ ხალხის ნდობა...

თქვენ ტოვებთ მშობლიური ინსტიტუტის კედლებს, ეთხოვებით აღმზრდელებს, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ სტუდენტობის ხანა თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი ეტაპია სრულყოფილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაში. თუ ვიტყვით — სწავლა სიბერემდეო, ეს განსაკუთრებით ექიმს შეეხება, ამიტომ ექიმმა წიგნი არასოდეს არ უნდა გაუშვას ხელიდან, იგი მუდამ კვალში უნდა მიყვებოდეს მეცნიერების პროგრესს, რომ არ ჩამორჩეს ცხოვრებას და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იმყოფებოდეს... კარგი იქნება თუ არ გაწყვეტთ კავშირს მშობლიურ ინსტიტუტთან — თქვენი ყოფილი მაწავლებლები მუდამ მზად იქნებიან დახმარების გასაწევად... გისურვებთ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ...“

პროფესორი შალვა თოიძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე
გაზეთი „მედიცინის მუშაკი“, 1979 წ.ელი

„სურვილები ამოუწურავი მაქვს ჩემი საყვარელი ახალგაზრდების, ჩემი სტუდენტების მიმართ, მაგრამ, უპირველესად, მინდა გისურვოთ, რომ ექიმის სამოღვაწეო ასპარეზზე ყოველთვის წარმატებები გქონოდეთ; ის დაბრკოლებები, რაც შეგხვდებათ საქმიანობაში, ყოველთვის გადაგელახოთ და ამით გულში სიხარულის სხივი ჩაგდგომოდეთ. პროფესიისა და ავადმყოფისადმი სიყვარული, – აი, თქვენი შემოქმედების ძირითადი არსი. უამისოდ ვერ დაიმსახურებთ ისეთ საპატიო წოდებას, რასაც ექიმი ჰქვია. ექიმი — ჰუმანური, ექიმი — გულისხმიერი, ექიმი — ენაშარბათოვანი, – აი, ასეთი მწამს მე ექიმი. და თქვენც, რომელთა აღზრდაში მეც მიმიძღვის წვლილი, იყავით ღირსეულნი ექიმის საპატიო წოდების სატარებლად, იყავით წმინდანები პროფესიისადმი, იყავით სუფთა, როგორც ექიმის თეთრი ხალათი და ამ ხალათს არასოდეს წასცხებოდეს თქვენგან შავი ლაქა! იცოცხლეთ და იხარეთ თქვენი საქმიანობის სიყვარულით, გამარჯვებებით იარეთ წინ!“

პროფესორი ალექსანდრე ბაკურაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
გაზეთი „მედიცინის მუშაკი“, 1978 წ.ელი

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
კოჰესპონდენტები ლაჰეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu